

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი
ქსელის მესაკუთრე“

2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“-ს
მესაკუთრეებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

3 ივლისი 2025 წელი



*შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის*

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	320,768	389,680
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		320,769	389,681
მოკლევადიანი აქტივები			
სხვა აქტივები		10	9
გაცემული ავანსები		35	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	4,568	79,709
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	4,670	2,123
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,283	81,841
სულ აქტივები		330,052	471,522
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	10		
განთავსებული კაპიტალი		1	1
დამატებით გადახდილი კაპიტალი		439,993	552,343
დაგროვილი ზარალები		(123,518)	(100,417)
სულ კაპიტალი		316,476	451,927
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გაცემული გარანტია	12	13,547	19,478
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულებები		-	104
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		29	13
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,576	19,595
სულ ვალდებულებები		13,576	19,595
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		330,052	471,522

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე.

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	44,501	44,501
ცვეთა	7	(69,194)	(69,660)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(3,159)	(4,180)
პერსონალის ხარჯები		(1,299)	(758)
სხვა ხარჯები		(295)	(2,776)
სხვა შემოსავალი		70	851
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(29,376)	(32,022)
ფინანსური შემოსავალი	6	6,275	6,615
ფინანსური ხარჯები	6	-	(500)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		6,275	6,115
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(23,101)	(25,907)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		(23,101)	(25,907)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ
2025 წლის 3 ივლისს, შემდეგი პირების მიერ:



გიორგი კიკვაძე
გენერალური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე.

*შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება*

'000 ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	განთავსებული კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		555,229		-	(74,510)	480,719
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში						
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	-	-	(25,907)	(25,907)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	-	-	(25,907)	(25,907)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრებთან						
კაპიტალის						
რეკლასიფიკაცია	10 (a)	(555,229)	1	555,228	-	-
კაპიტალის შემცირება	10 (a)	-	-	(5,724)	-	(5,724)
მშობელი კომპანიის შენატანი	10 (a)	-	-	2,839	-	2,839
სულ ოპერაციები კომპანიის						
მესაკუთრებთან		(555,229)	1	552,343	-	(2,885)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		-	1	552,343	(100,417)	451,927
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს		-	1	552,343	(100,417)	451,927
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში						
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	-	-	(23,101)	(23,101)
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	-	-	(23,101)	(23,101)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრებთან						
დივიდენდები	10 (b)	-	-	(112,400)	-	(112,400)
მშობელი კომპანიის შენატანი	10 (a)	-	-	50	-	50
სულ ოპერაციები კომპანიის						
მესაკუთრებთან		-	-	(112,350)	-	(112,350)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		-	1	439,993	(123,518)	316,476

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე.

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“
2024 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(23,101)	(25,907)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა	7	69,194	69,660
წმინდა ფინანსური შემოსავალი	6	(6,275)	(6,115)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		-	1,998
<i>ცვლილებები:</i>			
ცვლილება სხვა აქტივებში		(35)	(7)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(6,659)	(36,303)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში:		16	20
ცვლილება მოკლევადიან საგადასახადო ვალდებულებებში		(104)	(3,021)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		33,036	325
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(233)	(69)
მიღებული პროცენტი		344	291
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		111	222
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდი	10 (b)	(30,600)	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(30,600)	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა			
		2,547	547
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,123	1,576
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	4,670	2,123

არსებითი არაფულადი მუხლები წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში 9 და 10.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10- 31 გვერდებზე.

1. ზოგადი ინფორმაცია

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა. გარდა ამისა, 2025 წლის აპრილში შეერთებული შტატების მიერ გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტზე ტარიფების დაწესებამ ხელი შეუწყო გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას. აღნიშნული ზომები გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებსა და ინვესტირების განწყობაზე. ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტული ზომების შემოღებამ, ნავთობის გლობალური ფასების არასტაბილურობამ და რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2021 წლის 29 აპრილს და მისი იურიდიული მისამართია: თბილისი (საქართველო), კახეთის გზატკეცილი #21. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია B22153482.

კომპანია სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" (შემდგომში, „მშობელი კომპანია“, „მესაკუთრე“, 100% სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია) მიერ სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-15 შენიშვნაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა „მაგისტრალური გაზსადენის სისტემის“ (MGPS) მართვა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ხელშემწყობ მილსადენების ქსელს წარმოადგენს. კომპანია საქართველოს მთავრობას, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით დაარსდა, ბუნებრივი გაზის ბაზრის ლიბერალიზაციის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 25 მარტს მიღებული #129 დადგენილებით „საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორის გამიჯვნის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

2021 წელს, მშობელმა კომპანიამ „MGPS“ კომპანიის კაპიტალში შეიტანა, რის შემდეგაც კომპანიამ MGPS-ის საიჯარო ხელშეკრულებაში მისი მშობელი კომპანია შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიით“ („GGTC“) ჩაანაცვლა. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ სახელმწიფოს მიერ ფლობილ საწარმოს წარმოადგენს და აქვს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია, რომლის საშუალებითაც ის მართავს „მაგისტრალური გაზსადენის სისტემას“.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წელს, კომპანია გახდა საგარანტიო ხელშეკრულების მხარე მის მშობელ კომპანიასთან EBRD-ისგან აღებული სესხისთვის, დაუფარავი ოდენობით 430,250 ათასი ლარი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, EBRD-ის სესხთან დაკავშირებული გარკვეული კოვენანტები იქნა დარღვეული, რამაც გამსესხებელს მისცა სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის მოთხოვნის უფლება, რომლის გარანტსაც კომპანია წარმოადგენს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზების გამო:

- მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობა გამსესხებელთან მოლაპარაკებების პროცესშია, რათა მოიპოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი დარღვეული სესხის კოვენანტებისთვის და სესხის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით დაფარვისათვის. რადგან მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფი ჯგუფი სესხის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დასაფარად საჭირო საკმარისი ოდენობით ფულადი ნაკადების შემოძინებებს გამოიმუშავებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა.
- საქართველოს მთავრობამ გამოსცა მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ ახლო მომავალში აქვს სურვილი უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია, რომ მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფმა ჯგუფმა შეძლოს მისი საოპერაციო არსებობის გაგრძელება. რადგან მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფი ჯგუფი საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სესხის ნაადრევი დაფარვის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა მხარს დაუჭერს მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფ ჯგუფს, მანამ სანამ დაფინანსების ახალი წყარო არ იქნება მოძიებული.
- კომპანია საოპერაციო საქმიანობიდან დადებით ფულად ნაკადებს გამოიმუშავებს.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების და შეფასებების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნაში: შენიშვნა 17(d)(iii) - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები;

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტებისა და შეფასების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შემდეგ შენიშვნაში:

შენიშვნა 13 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

’000 ლარი	2024	2023
საიჯარო შემოსავალი	44,501	44,501
	44,501	44,501

კომპანიამ ჩაანაცვლა მშობელი კომპანია GGTC-სთან დადებულ „მაგისტრალური გაზსადენის სისტემის“ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც მოქმედებდა 2022 წლის 1 იანვრამდე „MGPS“-ის კომპანიისთვის გადაცემის თარიღისთვის (იხ. შენიშვნა 1). შემდგომში ხელშეკრულება გახანგრძლივდა და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ძალაშია 2026 წლის 1 იანვრამდე. 2021 წლის 1 იანვრიდან ფიქსირებული სახელშეკრულებო საიჯარო საფასური შეადგენს 44,501 ათას ლარს წელიწადში (დღგ-ს გარეშე) და აღნიშნული არ შეცვლილა 2024 წელს (იხ. შენიშვნა 19). შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ პასუხს აგებს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის რემონტზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, ოპერირებასა და უსაფრთხოებაზე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-16 შენიშვნაში.

6. წმინდა ფინანსური შემოსავალი

’000 ლარი	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით	344	291
გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება	5,664	6,324
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	267	-
ფინანსური შემოსავალი	6,275	6,615
 საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	-	(500)
ფინანსური ზარალები	-	(500)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი	6,275	6,115

7. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა	ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელი	საოფისე აღჭურვილობა	სულ
დასაშვები საწყისი ღირებულება				
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	81,966	492,852	249	575,067
შესყიდვები*	-	2,839	70	2,909
გასვლები / ჩამოწერები	-	(11,226)	-	(11,226)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	81,966	484,465	319	566,750
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	81,966	484,465	319	566,750
შესყიდვები*	-	80	199	279
გასვლები / ჩამოწერები	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	81,966	484,545	518	567,029
ცვეთა				
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(4,117)	(106,778)	(65)	(110,960)
ცვეთის დარიცხვა	(268)	(69,228)	(164)	(69,660)
გასვლები / ჩამოწერები	-	3,550	-	3,550
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(4,385)	(172,456)	(229)	(177,070)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	(4,385)	(172,456)	(229)	(177,070)
ცვეთის დარიცხვა	(69)	(69,027)	(94)	(69,191)
გასვლები / ჩამოწერები	-	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(4,454)	(241,483)	(323)	(246,261)
საბალანსო ღირებულებები				
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	77,849	386,074	184	464,107
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	77,581	312,009	90	389,680
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	77,512	243,062	195	320,768

ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელი მოიცავს ძირითად საშუალებებს (MGPS), რომლებიც მშობელმა კომპანიამ კომპანიის კაპიტალში 2021 წელს შეიტანა, სამართლიანი ღირებულებით 578,295 ათასი ლარი, რაც ასევე წარმოადგენდა კაპიტალის ზრდის ნომინალურ ღირებულებას (იხილეთ შენიშვნა 10(a)). ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება ძირითადად გაცვეთილი ჩანაცვლების ღირებულების გამოყენებით განისაზღვრა და წარმოადგენდა დასაშვებ საწყის ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისთვის.

*2024 წლის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ განახორციელა 50 ათასი ლარის ძირითადი საშუალებების შენატანი კომპანიაში (2023: 2,839 ათასი ლარი).

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	4,670	2,123
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,670	2,123

კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	4,376	4,409
სხვა მოთხოვნები	192	75,300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,568	79,709

2022 წლის განმავლობაში, კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება მშობელ კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც მშობელმა კომპანიამ კომპანიისგან მიიღო 36,300 ათასი ლარი 2022 წელს, 39,000 ათასი ლარი 2023 წელს და 6,500 ათასი ლარი 2024 წელს (ჯამში 81,800 ათასი ლარი) ფულადი სახსრების სახით. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი და ფინანსური ანალიზის შედეგად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ხელშეკრულება არ იყო იურიდიულად აღსრულებადი და გადარიცხული თანხა დასაბრუნებელია კომპანიისთვის. შესაბამისად, თანხები აღიარებულ იქნა როგორც „მოთხოვნისთანავე დასაფარი“ მოთხოვნები.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ 112,400 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები გამოაცხადა (იხ. შენიშვნა 10 (b)), საიდანაც 81,800 ათასი ლარი იქნა ურთიერთგადაფარული „მოთხოვნისთანავე დასაფარ“ მოთხოვნებთან მშობელი კომპანიის მიმართ, ხოლო დარჩენილი 30,600 დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების განაწილებით.

კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-13 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) განთავსებული კაპიტალი

კომპანიის ლარში დენომინირებული საწესდებო კაპიტალი, რომელიც თავდაპირველად პარტნიორთა გადაწყვეტილების მიხედვით განისაზღვრა, 1 ათას ლარს შეადგენს. შემდგომ, იგი იქნა გაზრდილი 2021 წლის განმავლობაში, კაპიტალში განხორციელებული შენატანების საფუძველზე. შენატანები შედგებოდა ძირითადი საშუალებებისგან სამართლიანი ღირებულებით 578,295 ათასი ლარი და 650 ათას ლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანებისგან. 2021 წლის განმავლობაში, საწესდებო კაპიტალი 23,716 ათასი ლარით შემცირდა, საიდანაც 20,620 ათასი ლარი გადახდილ იქნა ფულადი სახსრებით.

2022 წლის 1 იანვრიდან მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი ამოქმედდა. ახალ კანონს შემოაქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის რეგულირება, განთავსებული კაპიტალის და დამატებითი შენატანებით შექმნილი კაპიტალის ვადების დადგენით. 2023 წლის განმავლობაში, ახალი კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით, მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა განთავსებული კაპიტალი 1 ათასი ლარით განესაზღვრა. კომპანიამ მოახდინა 555,228 ათასი ლარის ადრე საწესდებო კაპიტალში შეტანილი დარჩენილი ოდენობის რეკლასიფიკაცია „დამატებით გადახდილ კაპიტალში“.

2024 წლის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ განახორციელა 50 ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების შენატანი კომპანიის კაპიტალში (2023: 2,839 ათასი ლარი).

2023 წლის განმავლობაში, გადაცემული მილსადენების ღირებულება 5,678 ათასი ლარის ოდენობით იქნა ჩამოწერილი, რამაც დამატებით გადახდილი კაპიტალის შემცირება გამოიწვია.

(b) დივიდენდები

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ გაანაწილონ დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ მათი მთლიანი აქტივების ოდენობა ფარავს განთავსებულ კაპიტალს დამატებული მთლიანი ვალდებულებები („გასანაწილებელი რეზერვები“), როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, განაწილების შედეგად. 2024 წლის განმავლობაში, საწარმომ „გასანაწილებელი რეზერვები“-დან 112,400 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები გამოაცხადა, საიდანაც 81,800 ათასი ლარი იქნა ურთიერთგადაფარული „მოთხოვნისთანავე დასაფარ“ მოთხოვნებთან მშობელი კომპანიის მიმართ (იხ. შენიშვნა 9), ხოლო დარჩენილი 30,600 ათასი ლარი დაკმაყოფილებულ იქნა ფულადი სახსრების განაწილებით (2023: ნული). დივიდენდების გაცემა აღირიცხა, როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალის შემცირება მოქმედი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

11. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს კაპიტალის ძლიერი ბაზა, კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის მშობელი კომპანიის მიერ ფინანსდება.

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში კომპანიის მდგომარეობის ცვლილებას.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

12. გაცემული გარანტია

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული გარანტია	13,547	19,478
	13,547	19,478

მშობელმა კომპანიამ 2021 წლის აპრილში დაფარვის ვადის მქონე ევროზღვიანობების რეფინანსირებისთვის, გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), რომელიც 217 მილიონ ევროს შეადგენს, დაფარვის ვადით 2031 წელი. 2021 წლის 30 ივნისისთვის, შპს „GNGTNO“-სა და „EBRD“-ს შორის გაფორმდა „გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება“ („Deed of Adherence“). აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „GNGTNO“ შპს „გარდაბნის თბოსადგურს“, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-სა და EBRD-ს შორის, 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას შეუერთდა. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში, შპს „GNGTNO“, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად და ცალ-ცალკე უზრუნველყონ მშობელი კომპანიის ვალდებულებები EBRD-თან დადებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში. საგარანტიო ხელშეკრულების მიხედვით, თუ სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით მშობელი კომპანია არ დაფარავს რაიმე ოდენობას მისი დაფარვის ვადის დადგომისას, გარანტები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ და მოთხოვნისთანავე გადაიხადონ აღნიშნული თანხა, იმგვარად თითქოს ისინი წარმოადგენდნენ ძირითად მსესხებლებს და არა მხოლოდ თავდებებს.

რადგან კომპანიამ გასცა გარანტია მშობელ კომპანიაზე ანაზღაურების გარეშე, გარანტია აღირიცხა, როგორც განაწილება მშობელ კომპანიაზე, მისი სამართლიანი ღირებულებით. გარანტია აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით 2021 წლის 30 ივნისისთვის, ხოლო შემდგომ შეფასდა თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული საგარანტიო შემოსავალი, გამოთვლილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ გასულ დროზე მიკუთვნებადი ოდენობის პროპორციულად და სავარაუდო საკრედიტო ზარალს შორის უდიდესით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მშობელ კომპანიას დარღვეული ჰქონდა EBRD-თან გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, რამაც გამსესხებელს სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის მოთხოვნის უფლება მისცა.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული საგარანტიო შემოსავალი აჭარბებდა გარანტიაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კომპანიის დაქვემდებარება გაცემულ გარანტიასთან დაკავშირებულ საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებზე წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

(a) გაცემული გარანტიის თვითღირებულების ცვლილება

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთი 1 იანვარს	19,478	25,302
გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება	(5,664)	(6,324)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(267)	500
გაცემული გარანტია 31 დეკემბრისთვის	13,547	19,478

13. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 13 (b) (ii);
- ლიკვიდურობის რისკი – შენიშვნა 13 (b)(iii);
- საბაზრო რისკი – შენიშვნა 13 (b)(iv).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

აქციონერი ზედამხედველობას უწევს, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის საბანკო ნაშთებიდან და გაცემული გარანტიებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ყველაზე დიდ საკრედიტო რისკს.

’000 ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	4,568	79,709
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	4,670	2,123
		9,238	81,832

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი ძირითადად შედგება 4,376 ათასი ლარის ოდენობით სავაჭრო მოთხოვნებისგან დაკავშირებული მხარის მიმართ. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი ძირითადად შედგება 4,376 ათასი ლარის ოდენობით მოთხოვნების ნაშთისგან დაკავშირებული მხარის მიმართ და 75,300 ათასი ლარის ოდენობით - მშობელი კომპანიის მიმართ. კომპანია არ მოელის, რომ კონტრაჰენტები ვერ შეძლებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

საბანკო ნაშთები

მთლიანი საბანკო ნაშთები განთავსებულია საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკში, მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. კომპანია არ მოელის, რომ კონტრაქტები ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები საბანკო ნაშთებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

გაცემული გარანტია

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოიშობა. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მშობელ კომპანიას დარღვეული ჰქონდა სასესხო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები (იხ. შენიშვნა 12), მაშასადამე "დეფოლტის ალბათობა" 100%-ით განისაზღვრა.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული საგარანტიო შემოსავალი აჭარბებდა გარანტიაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ხელმძღვანელობის მსგავსი შეფასება დამყარებული იყო საქართველოს მთავრობისგან მიღებულ მხარდაჭერის წერილზე, რომელშიც ის აცხადებს, რომ ახლო მომავალში, აქვს სურვილი უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია, რომ მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფმა ჯგუფმა და ჯგუფში არსებულმა თითოეულმა ინდივიდუალურმა კომპანიამ შეძლოს მისი საოპერაციო არსებობის გაგრძელება. ასევე, რადგან მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფი ჯგუფი სესხის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დასაფარად საჭირო საკმარისი ოდენობით ფულადი ნაკადების შემოდინებებს გამოიმუშავებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა (იხ. შენიშვნა 2(b)).

ზემოაღნიშნულის მიხედვით, მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფ ჯგუფში შემავალ ყველა გარანტზე მიკუთვნებადი "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი" დაახლოებით 10%-ით განისაზღვრა. ხელმძღვანელობის დაშვებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 80%-ს სხვა გარანტები, მშობელი კომპანიის თაოსნობის ქვეშ მყოფი ჯგუფის წევრები, დაფარავენ (აღნიშნული გარანტების ფინანსური ანგარიშგების მიხედვით). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიაზე მიკუთვნებადი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 100%-ით ზრდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარანტიის საბალანსო ღირებულებაზე მეტობას არ გამოიწვევდა.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის ყველა ვალდებულება, გარდა მოთხოვნისთანავე დასაფარი გაცემული გარანტიისა, არის მოკლევადიანი, 1 წელზე ნაკლები დაფარვის ვადით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება ევროში გაცემულ გარანტიაზე წარმოშობილ სავალუტო რისკს.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი (პირობითი ოდენობების მიხედვით):

’000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
	(13,547)	(19,478)
გაცემული გარანტია	(13,547)	(19,478)
წმინდა დაქვემდებარება	(13,547)	(19,478)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი 2024	საშუალო კურსი 2023	საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ კურსი 31 დეკემბერი 2024	საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ კურსი 31 დეკემბერი 2023
	2.9440	2,8416	2.9306	2,9753
1 ევრო	2.9440	2,8416	2.9306	2,9753

მგრძნობელობის ანალიზი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება, ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ევროსთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

31 დეკემბერი 2023	მოგება ან ზარალი ’000 ლარი
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,355

31 დეკემბერი 2022	მოგება ან ზარალი ’000 ლარი
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,948

14. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსაზღვრულად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შემდგომ საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) კონტროლის ურთიერთობები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანია არის სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ ან იმყოფება ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გათავისუფლების გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის საშუალებას იძლევა.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	282	251

(c) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(i) საიჯარო შემოსავალი

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 2024	დაუფარავი ნაშთი 2024	გარიგების ღირებულება 2023	დაუფარავი ნაშთი 2023
საიჯარო შემოსავალი	44,501	-	44,501	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	4,376	-	4,376
	44,501	4,376	44,501	4,376

(ii) სხვა

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 2024	დაუფარავი ნაშთი 2024	გარიგების ღირებულება 2023	დაუფარავი ნაშთი 2023
სხვა მოთხოვნები	6,500	-	36,300	75,300
გაცემული გარანტია (იხ. შენიშვნა 12)	-	13,547	-	19,478

2024 წელს, გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილების 5,664 ათასი ლარის ოდენობით გავლენა (2023: 6,324 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა მშობელ კომპანიაზე გაცემულ გარანტიასთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 12).

16. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

17. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) მილსადენის იჯარები

საოპერაციო იჯარა:

„კომპანია“ იჯარით გასცემს გაზის მილსადენებს და მათთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“. საიჯარო ხელშეკრულება არის არა-გაუქმებადი და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრამდე. კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი ანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველბა მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან საწარმოს შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განიცემული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- | | |
|---------------------|------------|
| – მიწა და შენობები | 5-20 წელი; |
| – გაზის მილსადენები | 5-44 წელი; |
| – სხვა | 3-5 წელი. |

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება. 189,579 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე გაზის მილსადენების ნაწილი იყო სრულად გაცვეთილი მშობელი კომპანიისგან კომპანიისთვის გადაცემის თარიღისთვის. ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი გადაცემის თარიღისთვის, რადგან მილსადენები მუშა მდგომარეობაშია და კომპანია გეგმავს აღნიშნული მილსადენების განახლებას უახლოეს წლებში, რათა შეამციროს აღნიშნული მილსადენების საშუალებით ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის დანაკარგი.

(e) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერი მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (ან გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება

(f) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(g) გაუფასურება

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიწებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდიწებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(h) გაცემული გარანტია

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც კომპანიას მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება შემდეგნაირად: ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული თავდაპირველი აღიარების შემდეგ გასულ დროზე მიკუთვნებადი ოდენობის პროპორციულად დათვლილი შემოსავალი) შორის უდიდესით.

18. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, კომპანიამ გამოაცხადა 18,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, საიდანაც ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის გადახდილი ქონდა 16,300 ათასი ლარი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, EBRD-ს არ მოუთხოვია კომპანიისგან მე-13 შენიშვნაში აღწერილი გარანტირებული ოდენობის დაფარვა.

19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოადგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

კომპანია ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ კომპანიის მოგების ან ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).

შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისთვის

**შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე
მმართველობითი ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1) ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის გენერალური დირექტორია ბ-ნი გიორგი კიკვაძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ზაზრები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის (მაგისტრალური მილსადენების ქსელი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) საკუთრებაში ფლობა და იჯარა საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2024
შემოსავალი მილსადენების იჯარიდან	44,501

ძირითადი პროდუქტები/მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები

კომპანია მაგისტრალურ მილსადენებს და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას იჯარით გასცემს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC). კომპანია სხვა სახის მომსახურებას არ სთავაზობს მომხმარებლებს.

კომპანიას მილსადენების იჯარიდან ჰქონდა უწყვეტი საიჯარო შემოსავალი 2024 წლის განმავლობაში.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის გენერალური დირექტორი მისი დაარსებიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ბ-ნი გიორგი კიკვაძე. კომპანიის გენერალურ დირექტორს წინააღმდეგ კომპანიის მესაკუთრე (100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი) და მოქმედებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიას გარეშე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან, კომპანიის წესდების თანახმად, კომპანიის სტრუქტურაში სამეთვალყურეო საბჭოს რგოლის ინტეგრირების შემთხვევაში, გენერალური დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება გადავა სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებებში.

კომპანია არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

მმართველობის სტრუქტურა:

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“. 2024 წლის განმავლობაში მფლობელთა სტრუქტურაში არ განხორციელებულა ცვლილება.

2) ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

**შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე
მმართველობითი ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2024 წლის შემოსავალმა შეადგინა 44,501 ათასი ლარი. შემოსავლის რაოდენობა 2023 წელს შეადგენს ასევე 44,501 ათას ლარს.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2024
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.68
სოპერაციო მოგება/(ზარალი) (Gross profit/(loss))	(23,101)
სულ აქტივები (Total Assets)	330,052
სულ შემოსავლები (Total Revenue)	44,501

არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები: როგორც ეს ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, კომპანია მაგისტრალურ მილსადენებს (გაზსადენებს) და დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას იჯარით გასცემს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ (GGTC). კომპანიამ ინფრასტრუქტურა კაპიტალ შენატანის სახით მიიღო მშობელი საწარმოსგან.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანიის საქმიანობის სფერო არ წარმოადგენს ლიცენზირებად აქტივობას და იგი არ ექვევა სემეკის ან/და სხვა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს პირდაპირი რეგულირების ქვეშ. კომპანიას საგადასახადო შემოწმება არ გაუვლია.

3) სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა, ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ინვესტიციების განხორციელება

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის აუცილებელი პროექტების დაფინანსება, რომელსაც შეიმუშავენ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის No. 129 დადგენილების თანახმად, გარდამავალ პერიოდში (2024 წლის ჩათვლით პერიოდი) მიმდინარე პროექტების დაფინანსებას განახორციელებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, ხოლო შესაბამისი აქტივი დასრულებული სახით აისახება კომპანიის კაპიტალში, რის შემდეგაც იგი ჩაერთვება საიჯარო ქონების ნუსხაში. გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, კომპანია სემეკთან და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ კონსულტაციებით განსაზღვრავს დასაფინანსებელ პროექტებს და უზრუნველყოფს საჭირო ინვესტიციების განხორციელებას საოპერაციო შემოსავლებიდან მიღებული თანხებით.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

**შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე
მმართველობითი ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ორგანიზაციული მართვის პროცესების ავტომატიზაციისა და მათი ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, კომპანია გეგმავს ERP სისტემის დანერგვას.

4) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

მომავალ გაურკვევლობებთან დაკავშირებული რისკები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, განცალკევების საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულების პირობებში, კომპანიის მიერ საოპერაციო შემოსავლის გენერირების ერთდერთ წყაროს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის მაგისტრალური გაზსადენების იჯარიდან მიღებული შემოსავლები. თავის მხრივ, საიჯარო შემოსავლები ეფუძნება ორ ძირითად კომპონენტს: ა) რუსეთის ფედერაციიდან სომხეთის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანზიტიდან მისაღები ანაზღაურების გარკვეული წილი, რომელიც დგინდება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასთან“ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე; და ბ) ბუნებრივი გაზის შიდა გადაცემის საქმიანობისთვის გამოყენებული რეგულირებადი აქტივების ბაზა (RAB), რომელიც განისაზღვრება სემეკის 2014 წლის 25 დეკემბრის No.33 დადგენილებით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის საქმიანობა უშუალოდ არ ექვემდებარება სატარიფო რეგულირების საკანონმდებლო ვალდებულებას, საიჯარო ქირის მეორე კომპონენტზე სემეკს გააჩნია ირიბი ზემოქმედების მექანიზმი, რადგან „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადამცემი ქსელის მესაკუთრესა და გადამცემი სისტემის ოპერატორს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ქსელის მესაკუთრის მიერ მისაღები ანაზღაურების შეთანხმება სწორედ სემეკის პრეროგატივაა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ბუნებრივი გაზის შიდა ტრანსპორტირების კომპონენტზე მიკუთვნებული საიჯარო ქირის ოდენობის შეთანხმებას ახდენს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება ამ საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული რეგულირებადი აქტივების ბაზის (RAB) ღირებულებიდან „გონივრულ“ საინვესტიციო ამონაგებს (მის მიერ დამტკიცებული ზემოხსენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად). ამასთან, სემეკის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით, რეგულირებადი აქტივების ბაზის (RAB) ღირებულება დგინდება აქტივების ისტორიული ღირებულებით (რომელიც ამორტიზდება იმავე მეთოდოლოგიით დადგენილი ცვეთის ნორმებით/პერიოდით) და მისი მოცულობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ ბაზაში ახალი აქტივის ჩართვის ან/და არსებულ აქტივებზე კაპიტალური დანახარჯების გაწევის შემთხვევაში. ამდენად, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ ბუნებრივი გაზის გადაცემის ტარიფის დადგენის მიზნით, სატარიფო რეგულირების შემდგომ პერიოდებში კომპანიის მხრიდან მნიშვნელოვანი ინვესტიციების განუხორციელებლობის შემთხვევაში, არსებობს საოპერაციო შემოსავლების შემცირების რისკი რეგულირებადი აქტივების ბაზის (RAB) ნარჩენი საბალანსო ღირებულების შემცირების საფუძველზე.

ფინანსური რისკები და კაპიტალის მართვა

**შპს საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე
მმართველობითი ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

კომპანიას გააჩნია ფინანსური რისკები (საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი), რომელიც დეტალურად აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში. კომპანიის კაპიტალის მართვა აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაში.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 3 ივლისს.



გიორგი კიკვაძე
გენერალური დირექტორი